ხამშაბათი, ივნისის 3 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 100

ჩვენი ქვეყანა

ყოველ-კვირეული

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული ფნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მართა საყვარელიძის ასული, შვილები: ქეთო და ვასილი, რძალი ნატო აბაშიძის ასული, შვილიშვილები: მიტუშა და ბაჩანა აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს 23 მაისს ძველი სტილით გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სოფელ ციხვისში იოანე ნათლისცემის ეკლესიაზე, 10 საათზე დილით

მღვდელი დიმიტრი აბდუშელიშვილის

სულის მოსახსენებლათ.

მეუღლე ლუკა, შვილები ვიქტორ, ვლადიმერ, ელენა და ანეტა და რძალი ზინა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 7 ივნისს (ახ. სტ.) კვალითის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ არაბიძის

სულის მოსახსენებლად. 1—1

უზომოთ დამწუხრებულნი სოფიო (სონია) ნიკოლოზის ასული ტკეციშვილი-ქორქიასი, პავლე (პავლუშა) ნიკოლოზის ძე ტკეციშვილი, მიხეილი დიმიტრის ძე ქორქია, ანდრია, კირილე სპირიდონის ძენი და ალექსანდრე გიორგის ძე ტკეციშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის 1 ივნის გარდაიცვალა

ბარბალე დავითის ასული ტკეციშვილისა

უძვირფასესი პირველ ორთა დედა, მეორესი სიდედრი და ხოლო უკანასკნელ სამთა ბიცოლა. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 3 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე წვანე-ყვავილის სასაფლაოზე. თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

გადასვლის გამო ლიკვიდაცია სდება ყველა დარჩენილი საგალანტერეინო ხელით ნაკეთები საქონლისა.

მამაკაცის პერანგები, ვარატნიკები, გალსტუკები და ტყავის სანდლები ყველა ზომისა, მაღაზიის მოწყობილობა რომელიც შესდგება „პოლკებიდან“ დაძგებიდან და შკაფებიდან. მისამართი: ქარვასლის ქუჩა მაღაზია „უნივერსალი“ ძმ. ჩილინგაროვების სახლი ვაჟთა გიმნაზიის პირდაპირ. 6—4.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ 1 მაისიდან ბანკის ოპერაციები ჩაყენებული არის თავის ძველ კალაპოტში, სასესხო ანგარიშები (текущет)

ფულის მიღება და გაცემა ხთება დაუბრკოლებლივ, ნაღდდება

ეგრეთვე თამასუქები მოკლე ვადიანი და სხვა.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა.

3—2

ბრძანება ქუთაისის გარნიზონისადმი.

№ 27. 29 მაისი 1919 წელი. ქ. ქუთაისი.

§ 1. თანახმად მე 15 ტე მუხლის გარნიზონის სამსახურის დებულებისა ქ. ქუთაისის კომენდანტის მოვალეობის აღმასრულებლად ვნიშნავ ჩემს განკარგულებაში მყოფ პოდპოლკოვნიკ ლორთქიფანიძეს.

§ 2. პოდპოლკოვნიკ ლორთქიფანიძემ მომახსენა, რომ ის შეუდგა დღეის რიცხვიდან თავის პირდაპირ მოვალეობის შესრულებას (ქ. ქუთაისის კომენდანტობისას.)

§ 3. ვინაიდან ქ. ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსმა მაცნობა, რომ ოფიცრობა და ჯ. კაცნი ხშირათ ნაღვინიანები არღვევენ ქალაქში მცხოვრებთა უფლებას ისვრიან რეოლვერებს დარბიან ფაეტონით და ჩადილარიან სხვა მრავალ უწესოობას და ეს შეიძლება ის ოფიცრები არ იყვნენ რომელნიც მსახურებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ უბრძანებ ჩემდამი ჩაბმულ გარნიზონის ნაწილებისა და დაწესებულებების უფროსებს მტკიცეთ გატარებულ იქმნას ცხოვრებაში ქვემო ჩამოთვლილი პუნქტები.

ა) 3 ივნისამდი აუცილებლათ წარმოდგენილი იქმნას ქ. კომენდანტთან პუშკინის ქუჩა სამხედრო სამმარ. სია ყველა იმ ოფიცერთა, ექიმთა და სამხედრო მოხელეების, რომელნიც მსახურებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში და აქვთ ნება ატარონ სამხედრო ტანისამოსი ბ) ყველა ოფიცრებს და სამხედრო მოხელეებს უბრძანებ იქონიოს თავისი პირადობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით.

გ) ვისაც არ აღმოჩენება პირადობის მოწმობა სურათით, ასეთი თუ გინდ ის იქმნას ოფიცრის ტანთსაცმელში შეიძლება დაკავებულ იქმნას ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციის წარმომადგენელიდამ.

დ) ოფიცრებს და მოხელეებს უბრძანებ დაექვემდებარონ ყოველივე კანონიერ მოთხოვნილებაზედ კომენდანტის ადიუტანტებს.

ა) კომენდანტის ადიუტანტებს უბრძანებ მტკიცეთ იქნას გატარებული ცხოვრებაში ყოველივე ბრძანება და მასთან ერთათ დახმარება გაუწიონ ქალ. ადმინისტრაციას ქალაქში წესრიგის დაცვაში.

§ 4. რომ გარნიზონის არსებული უნივერსიტეტის საგარნიზონო შკოლის და სამკითხველოს დაცვა ჯეროვნათ შენახვა უზრუნველ ყოფილიყოს დანიშნოს გარნიზონიდან სამზრუნველო კომიტეტი, რომელშიდაც უნდა შედიოდენ 1 ლი რაზმიდან: ერთი თავმჯდომარე და ერთი წევრი 1 ლი საარტილერიო ბრიგადიდან კი ერთი წევრი ამ. კომიტეტის მოვალეობა იქნება თვალ ყური ადევნოს ზემოაღნიშნული დაწესებულებების ყოველ საჭიროებების დაცვა შენახვას და იზრუნოს რომ თავის დროზედ ეცნობოს ყველა გარნიზონის ნაწილებს თუ როდის და რა ლექცია არის დანიშნული.

კომიტეტში დანიშნულ პირთა სია უნდა წარმომადგენოს მე არა უგვიანეს 3 ივნისისა. გარდა ამისა კომიტეტის განკარგულებაში უნდა იქნეს დანიშნული ზნეობრივ-გონებრივად განვითარებული ჯ. კაცი-გამგეთ და მის განკარგულებაში კი ერთი დამგე

სოციალ-დემოკრატიული გიუ-როკრატიზმი.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ მითხრა: „საერობო საქმეებისათვის მოსალაპარაკებლად გზათა მინისტრის ნახვა ისე გამიჭირდა, რომ ჩემს დღეში ამაზე უფრო არა გამჭირვებიარაო“.

გუშინწინ ერობის სატეხნიკო კომისიას ბჭობა ჰქონდა ქუთაის-სამტრედიის რკინისგზის მიმართულების შესახებ და მანვე საჯაროდ განაცხადა: ჩვენ ჩვენი მოვალეობა ავასრულოთ, პლანი შევადგინოთ და წარვუდგინოთ. რაც შეეხება სამინისტროს მიერ საქმის განხილვასა და დაბოლოებას, ღმერთმან იცის, როდის იქნება, როდის მოგვესწრებაო“.

მაშასადამეყოველსავე ცოცხალ საქმეს სამინისტროებში გამეფებული ბიუროკრატიზმი ჰკლავს.

მკითხველო! რამდენი მელანი დაუღვრიათ სოციალ-დემოკრატებს ბიუროკრატიული წესის წინააღმდეგ?! ახლა კი თვითონვე გაამეფეს ძველებურზე უარესი ბიუროკრატიზმი!

ერობის თავმჯდომარეს უჭირს მინისტრის ნახვა და მასთან რკინისგზის გაყვანისათვის მოლაპარაკება! სამინისტროში ქუთაის-სამტრედიის რკინისგზის გაყვანის საკითხის განხილვა შეუძლებელი გამხდარა!

მაშ რას-ღა აკეთებს გზათა სამინისტრო? მისი მოქმედებანი რაში ჩანს?! რომელ ამშენებლობით მუშაობაში?! რასაკვირველია, არსად და არაფერში.

პირიქით, ყველაფერი მოუწყობელია.

აღვნიშნავ სხვათა შორის რკინისგზის საექიმო საქმის მდგომარეობას.

ცენტრალურ სასანიტარო საბჭოს წევრებათ თითქმის მეისრეები და ფერშლები არიან. მხოლოდ ერთია ექიმი (შატილოვი)! და მის ნაცვლად, რომ ექიმები უკეთებდენ რევიზიას ფერშლებს, პირიქით, ფერშლები ინიშნებიან ექიმების რევიზორებად! იმავე დროს ფერშლის ჯამაგირი ორასი მანეთით აღემატება ექიმის ჯამაგირს!

საზოგადოდ, ცოდნას ნაკლებად აფასებენ!

ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ შავ სახადთან ბრძოლისთვის იძულებით გაგზავნილ ექიმებს მხოლოდ 1500 მანეთს აძლევენ თვეში! ექიმმა ამ ფულით თავიც უნდა გაიტანოს და შინ მიტოვებული ცოლშვილიც უნდა არჩინოს!

დიაღ! ინტელიგენტის შრომას ე. ი. ცოდნას, არ აფასებენ!

დავუბრუნდეთ კვლავ ბიუროკრატიზმის საკითხს. ბიუროკრატიზმი განსუფლავს ჩვენს პოლიუიკურ ცხოვრებას თავიდან ბოლომდის.

რომელსამე დიდმნიშვნელოვან საკითხს ჯერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი გადასწყვეტს, შემდეგ პარტიას მიაღებინებენ, დასასრულ კი დამფუძნებელი კრება დააკანონებს!

და თვითეული პარტიის წევრი ხმის მიცემის დროს ხელს საკუთარი თავის ნებას კი არ უმორჩილებს, არამედ კომიტეტის ნებას!

მაშასადამე დამფუძნებელი კრების წევრი დამოუკიდებლად კი არ მოქმედობს, არამედ პარტიული კომიტეტის ბრძანებისდა მიხედვით!

ასეთი უკიდურესი ბიუროკრატიზმია გამეფებული პოლიტიკური ცხოვრების სათავეში!

სამინისტროთა რიცხვი შეამცირეს: სამ-სამი სამინისტრო თვითო-თვითოდ გადააქციეს. ეგონათ, ამით საქმეს გავამარტივებთო. ის კი არა და,—უფრო გაართულეს.

პატარა რესპუბლიკას ცოტა სამინისტრო სჭირდებაო, ფიქრობდენ. მაგრამ ეს ხომ იმასა ჰგავს, სთქვა: პატარა სამკურნალოს ცოტა სპეციალისტი სჭირდებაო! რუსეთი დიდი იყო და რად გვინდა იმდენი სამინისტრო, რამდენიც რუსეთს ჰყავდაო? ბრძანებენ. კი, მაგრამ ხომ ვიცით, ხსენებული სამინისტროები რომ რუსეთის საქმეებს რიგიანად ვერ უძღვებოდენ!

ამგვარი პოლიტიკა—ყალბი ანალოგიის შედეგია.

მაშასადამე იმდენივე სამინისტროა საჭირო, რამდენიც საქმეს მოუხდება. და უეჭველია, განათლების საქმეს, გზათა საქმეს, სამართლის საქმეს, შინაგანი წესიერების საქმეს, სამხედრო საქმეს, საგარეო საქმეს, შრომის საქმეს, ფინანსების საქმეს —საკუთარი სამინისტროები სჭირდებათ.

მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება მოელოს ბოლო ბიუროკრატიზმს!.

დასასრულ წერილი უნდა დავაბოლოო მითვე, რითაც დავიწყე: ვიდრე პოლიტიკას პარტიული დისციპლინა ექნება საფუძვლად, ბიუროკრატიზმი არ აღმოიფხვრება.

სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ თავის პარტიასა და დანარჩენ ერს შორის გაუვალი ზღუდე აღმართა.

არასოციალ დემოკრატის სახელმწიფო სამსახურში სდევნიან!

მაგრამ დამტკიცებულია, ერთს პარტიას ყველაფრის გაკეთება არ შეუძლია.

და ამ უმსგავსი პოლიტიკის შედეგი უკვე ვიგემეთ: გამრავლდა ხელისუფალთა მიერ სახელმწიფო ქონების გატაცება, გაოხრდა სახელმწიფო მამულები, ვერ მოეწყო ვერც გადასახადების განაწილება და აკრეფა, ვერც რკინის გზით მოძრაობა, ვერც სწავლის, ვერც სახალხო მკურნალობის, ვერც სამხედრო, ვერც საგარეო, ვერც ფოსტის, ვერც შინაური წესიერების საქმე.

და ვერც მოეწყობა, ვიდრე მართვა-გამგეობა პარტიულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული.

ვასილ წერეთელი.

გერმანული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.

გერმანიის საპასუხო საზავო წინადადებანი ვერსალში ხუთშაბათს გადასცეს.

შვეიცარიის პრესის ცნობებით შვეიცარიის ფედერატიულმა საბჭომ დაამზადა პასუხი მოკავშირეთა იმ ნოტაზე, რომელშიაც მოითხოვდენ, რომ შვეიცარიას მონაწილეობა მიეღო გერმანიის ახალ ბლოკადაში. საპასუხო ნოტაში უარია განცხადებული ბლოკადაში მონაწილეობის მიღებაზე.

ინგლისის საზავო საბჭოს წარმომადგენელმა ჩალოზ ტრევემანმა „მანჩესტერ-გარდიან“-ში გამოაქვეყნა პროტესტი საზავო პირობების წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ დროებით სწყვეტს საომარ მოქმედებას და არ შეიძლება იგი საერთაშორისო ზავის ჩამოსაგდებ საშუალებად ჩაითვალოს. საერთაშორისო დემოკრატია ისეთ ზავს მოელოდა, როგორიც რამდენიმე ხნის წინად ვილსონის სიტყვებში იყო დახასიათებული. ეხლანდელი პირობები კი მკაცრად გასაკიცხია. პროტესტში ნათქვამია, რომ ვერ განხორციელდება ის ხელშეკრულება, რომელიც რესპუბლიკანურ და რევოლიუციონურ გერმანიას უნდა წარუდგინონ. საარის საკითხის გადაწყვეტის დროს დაშვებულია იგივე შეცდომა რაც 1871 წ. პრუსიამ დაუშვა. აღმოსავლეთ პრუსიის ჩამოშორება და დანციგის საკითხის გადაწყვეტა ეროვნულ გრძნობას შეურაცხყოფს. მანდატების სახით სხვა და სხვა გვარ ნამდვილ ანექსიებს ანხორციელებენ. არავითარ თვითგამორკვევის უფლება არ ეძლევათ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ანექსიის სახით იერთებენ, მფარველობის სახელით. განუსაზღვრელი ანაზღაურება მონობის უღელს ადგამს გერმანიის მუშებს. პროტესტი ასე თავდება: არავინ დაიჯერებს, რომ ასეთ პირობებს დიდხანს მოითმენენ, ამიტომ ეს პირობები უნდა უარყოს ყოველმა დემოკრატმა, პაციფისტმა და ინტერნაციონალისტმა. შეესაძლებელია შიმშილმა აიძულოს გერმანია ხელი მოაწეროს ზავს, მაგრამ ინტერნაციონალისტები, რომელნიც საერთაშორისო დემოკრატიას ეყრდნობიან, მედგრად მოითხოვენ ხელშეკრულების გადასინჯვას“.

როდესაც ცნობა მოვიდა, რომ სამშაბათს კობლენცში რეინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ, ,ელნში საყოველთაო გაფიცვა მოხდა. გაიმართა დიდი დემონსტრაციები, რომელზედაც განაცხადეს მკაცრი პროტესტები რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში.

ლიტვის მინისტრ-პრეზიდენტმა ბერლინში ბროკლორფ რანტცაუს და მოკავშირეთა ყველა მთავრობებს გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბალშევიკებისაგან ცხოვრებთა დაცვის საბაბით პოლონელებმა ლიტვის დიდი ნაწილი და მთავარი ქალაქი ვილნო დაიპყრეს, მაგრამ მცხოვრებთა დაცვის მაგიერ პოლონელები მკვლელობას, ძარცვა-გლეჯას და ძალადობას ახდენენ, განსაკუთრებით კი ებრაეთა შორის. ლიტვის მთავრობა მოითხოვს, რომ პოლონელებმა დასცალონ ლიტვა და აანაზღაურონ მცხოვრებლებისთვის მიყენებული ზარალი.

ფრანგული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.

ხუთშაბათს ნაშუადღევს საზავო კონფერენციას გერმანიის საწინააღმდეგო წინადადების მეორე ნაწილი გადაეცა. წინადადებები 150 გვერდს შეიცავს. პირველი 88 გვერდი, რომელიც საწინააღმდეგო წინადადებების შესავალს წარმოადგენს, უკვე დაბეჭდეს და 20 მთარგმელს გაუნაწილეს, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე გადასათარგმნელად.

„ტან“-ი იუწყება, რომ მოხდა შეთანხმება ადრიატიკის საკითხის შესახებ და ათავსებს შემდეგ ცნობას: „პრეზიდენტმა ვილსონმა, რომელმაც დღეს სამხრეთ სლავიანთა წარმომადგენლები უნდა ინახულოს, მოიწონა ორლანდოს მიერ შემუშავებული შეთანხმების ტექსტი, რომლის მთავარი პირობები შემდეგია: 1) ქ. ფიუმე განაპირა ადგილის, სიუშარის გარდა, ქალაქის დასავლეთით მდებარე ადგილებთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოთ უნდა გამოცხადდეს, ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ. ეს სახელმწიფო იტალიის მოსაზღვრე იქნება, მასში შევა ფიუმედან ლეიბახში მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი. 2) ზარა და სებენიკი იტალიის მფარველობის ქვეშ იქნება და იტალიამ უარი უნდა სთქვას დალმაციის სანაპიროს და მის აღმოსავლეთით მდებარე სხვა ადგილების შესახებ თავის მოთხოვნილებებზე. 3) იტალიის სუვერენიულ უფლებების ქვეშ იქნება აგრეთვე ფიუმეს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუნძულები შერსო, ლუსიკი და აგრეთვე ლისა და სხვა მეზობლად მყოფი კუნძულები. 4) მეორეს მხრით ხალხთა ლიგა იტალიას აბარებს ალბანიის მანდატს, სადაც ლონდონის ხელშეკრულების ძალით იტალიას უპირატესობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

ინგლისური პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.

მოელიან, რომ პარასკევს ავსტრიელებს დაუმთავრებელ ხელშეკრულებას გადასცემენ, რომლის დროს არავითარ ცვლილებას ადგილი არ ექნება. ხელშეკრულება ყვითელ ქაღალდზეა დაწერილი.

იტალია ჯერ ისევ აბრკოლებს საზღვრების და ფიუმეს საკითხების გადაწყვეტას და აღნიშნავს, რომ ეს ორივე საკითხი ერთი მეორეზეა დამოკიდებული. იმ ხელშეკრულებაში, რომელიც პარასკევს ავსტრიელებს ხელს აწერენ, ასეთი დაჩქარება იმითაა გამოწვეული, რომ ავსტრიის დელეგატებს არ სურთ ვერსალში კიდევ დარჩენა. დანარჩენი საკითხები შემდეგ გადაწყდება. გერმანელები მოელიან, რომ საპასუხო წინადადებებს ოთხშაბათს დაასრულებენ და, სულ უგვიანეს, ხუთშაბათს უკვე გადაეცემათ. დელეგაციის 56 დელეგატი ვერსალს დასტოვებს და ოთხშაბათს განსაკუთრებული მატარებლით ბერლინში წავლენ. ამ დელეგატთა შორის საფინანსო ექსპერტებიც არიან. რანტცაუ თავის ამალით სპაში ან ბერლინში გაეემგზავრება, მაგრამ უკანვე დაბრუნდება.

ბოლშევიკების ცნობები.

(საქ. დეპ. სააგენტო)

მოსკოვი სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. აურმანის რაიონი. რკინის გზის რაიონში ბრძოლაა. ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ხერნოვი და გოტობუჟა დაიჭირა. ლუგის რაიონი. ჩვენმა ჯარმა ვოლოკი დაიჭირა. ლუგის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მდ. ბერდუხისკენ დაიხია. მოსკოვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშთა წითელმა ჯარმა სოფ. მურიანნოდელ-გარევენ სპურისტის ხაზზე ახალი პოზიცია დაიჭირა. ვოლმარის რაიონში ლატიშთა წითელმა ჯარმა დაიხია სოფელ... (დამახინჯებული და გამრტოვებულია)... ბრძოლის შემდეგ ჩვენ ასტრახანის დასავლეთით 140 ვერსზე ხარახუსოვსკაია დავსტოვეთ. ასტრახანის ჩრდილოეთ- აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა განიუშკინო დასტოვა. აღმოსავლეთის ფრონტი. ორენბურგის რაიონში ჩვენ ტატიშჩევკა დავსტოვეთ. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენ ალაგუვატოვო დავიჭირეთ. ბელებეის და ბუგურუსლანის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 20 ვერს. წინ წაიწია. ბირსკის მიმართულება. მოწინააღმდეგე, რომელიც ბელაიასთან დავამარცხეთ, გემით ბირსკში წავიდა. ჩვენ ელაბუგის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 56 ვერსზე მდებარე ხაზს მივაღწიეთ.

ახალი ამბავი

საბჭოს ადმინისტრატიული კომისიის დადგენილება. ქალაქის საბჭოს ადმინისტრატიული კომისიამ თავის დადგენილებით ქუთაისის მილიციის უფროსის თანამდებობაზე სასურველ კანდიდატათ ივონო ფოთის მილიციის უფროს მაღნარაძე.

ქალაქის მოურავის ამხანაგის თფილისში გამგზავრება. ქალაქის მოურავის ამხანაგი ქალაქის საქმეების გამო თფილისში გაემგზავრა მისი მოვალეობის აღსრულება დაეკისრა ქალაქის გამგეობის წევრს ანტონ მეფისაშვილს.

დახმარების თხოვნა. ქუთაისში არსებულ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებამ მიმართა თხოვნით ქუთაისის მაზრის ერობას,- რათა მას ერობამ აღმოუჩინოს დახმარება ფინანსიურათ. ერობამ ხსენებულ დაწესებულებას აღუთქვა დახმარება.

ქუთაისის სულის ავათმყოფთა თავშესაფარის მდგომარეობა. ქუთაისის სამაზრო ერობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს რომ ქუთაისის სულის ავათმყოფთა თავშესაფარი უკიდურეს მდგომარეობაშია ფინანსიური მხრით. ერობამ და კომისარიატმა გასწია თავშესაფარის ძველი ვალები, მარტამდი, მხოლოდ მარტის შემდეგ კერძო პირებიდან აღებულ ვალით არსებობს

რედაქტორი—საგანგებო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ავშესაფარი. ვალი უკვე 50,000 მანეთია, მოვალეები მოითხოვენ დაკმაყოფილებას, მოიჯარადრეები უარს აცხადებენ ...ნიათ სანოვაგის მიცემაზე, მოსამსახურეებიც თავის დანებებას აპირებენ თუ ...ამაგირს არ მიიღებენ დროზე. გაცნობებთ რა თავშესაფარის მდგომარეობას ...ოვთ მიიღოთ ზომები კრედიტის გასახსნელად.

აფთიაქის გადასვლა ერობის ...ელში. ქუთაისის სამაზრო ერობა მოლე ხანში ჩაიბარებს სოფ. ფარცხანა...ნევის აფთიაქს.

ტელეფონის ქსელები ქუთაისის მაზრაში. ამ მოკლე ხანში ქუთაისის მაზ...აში დაიწყება ტელეფონის ქსელის გა...ყვანა. ამის შესახებ თფილისიდან ს. მგე...ოძედან უკვე მოვიდა ცნობა, რომ...ც იტყობინება, რომ 5 ივნისს ქუთა...ში ჩამოვა უფროსი ტექნიკი კორძაია, ...რომელსაც დავალებული აქვს ტელეფო...ის ქსელის გაყვანა ხსენებულ მაზრაში.

ქუთაისის ერობას. თფილისის მიწათ...ქმედების სამინისტროს ოხოვს რომ, ის ...ბირტი რომელიც ეძლევა ქუთაისის ...ერობის სამკურნალო განყოფილებას ანა...ოვის საწყობიდან გრადუსი 32 მან. ...ოეცეს დაკლებულ ფასებში რადგან ბა...ზარზე უფრო ნაკლებად ღირს.

სომხეთში.

ყარსი. სომხეთის ჯარის შემდეგ, „ა...ტავორის“ ცნობით მდგომარეობა ყარ...ში უკეთესდება. სომხეთის სარდლობამ ...ილო უსასტიკესი ზომები თავიანთ ეროვ...ულ სიმდიდრის მოსაკრებად და დასა...ცავად. ყარსის კავშირი „შურა“ ფაქტი...ურად აღარ არსებობს, კავშირის წევრები ...სრულიად დაკმაყოფილდნენ მით რომ ...ომხებმა მიიღეს პატარა ადგილები სომ...ეთის ადმინისტრაციისაგან, მაისის 6-ს ...ერტაანის ოლქის გელსოს მხრისკენ გაემ...გზავრა ყარსის ადმინისტრაციის წარმომა...დგენელი. მასთან ერთად გუბერნატორის ...დავალებით გაემგზავრა ეროვნულ საბჭ. ...თავმჯდ. ექიმი გაჯიევი და ბერძნების ...ლეგელი. ამათ გაჰყვა მერდენიკში ჯარი. ...მაჰმადიანთა სახელმწიფო სამსახურში ...ილება ხალხზე დიდ გავლენას ახდენს.

ყარსის გუბერნატორმა გამოიწვია ...ურთი ჰასან-ბეი შამშადილოვი და ყაგი...ზმანის ოლქის უფროსად დანიშნა. მისი ...ანიშვნა გაუხარდა არა მარტო მაჰმა...დიანებს, სომხებსაც კი, რომელთაც მან ...ოდი დახმარება გაუწია.

ნინო ჩხეიძის იუბილე-დღესასწაული ქუთაისში.

ივნისის 1 ქუთაისში დამსახურებულ ...ასახიობს ქ-ნ ნინო ჩხეიძეს 25 წლის სა...ცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად იუ...ბილე-დღესასწაული გადაუხადა.

პატივისცემა ნინო ჩხეიძისადმი და სი...ყვარული ამ დღეს გამოაშკარავდა.

საიუბილეო კომიტეტს ამ დღისათვის ...ეატრი სადღესასწაულოთ მოერთო. გა...ედან გამოკიდებული იყო ეროვნული ...როშები და თეატრის კედლებს ამშვე...ებდა გილიანდრები.

სცენაზე შესასვლელ კასებთან კარვი...ებურათ გაკეთებული იყო გილიანდრე...ი და ყვავილები.

თვით თეატრი საუცხოოთ იყო მოწ...ობილი. ლოჟების ზევით, ჩამწკრივებუ...ი იყო ყველა ქართველი მწერლებისა ...და საზოგადო მოღვაწეების სურათები. ...ყო ეროვნული დროშებიც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობ...და სცენა, რომელსაც ამშვენებდა ნინოს ...ურათი და იუბილეარისათვის გამზადე...ული სავარძელი.

დილის 11 საათზე იუბილეარი საკუ...არი ბინიდან განსაკუთრებული ავტო...ობილით თეატრისაკენ წაიყვანეს. ავტო...ობილს თან მისდევდა ეროვნულ ტანი...ამოსში გამოწყობილი კავალკადა.

გზაზე ნიშნად პატივისცემისა იუბილე...არას ვარდ ყვავილებს ესროდენ.

12 საათზე თეატრი ხალხით გაიჭედა. მესამე ზარი და ფარდა აიხადა.

სცენაზე სხედან დელეგატები და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგე...ლები დ. კლდიაშვილის მეთაურობით.

ერთი წუთის შემდეგ ი. პურადაშვილს გამოჰყავს პატივცემული იუბილეარი და განსაკუთრებულ სავარძელთან მიჰყავს. დარბაზში დაუსრულებელი ტაშის ცემა გაისმის.

ნინო ჯდება სავარძელში. მას თან ახლავს სცენაზე პატარა შვილები.

დაიწყო მილოცვები. პირველი სიტყვა სთქვა მწერალმა დ. კლდიაშვილმა.

ი. პურადაშვილი კითხულობს მთავრ...ბის დავალებით დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის მიერ გამოგზავნულ დეპეშს, სადაც იუბილეარს მოულოცავენ დღესასწაულს. დეპეშაში ნათქვამი იყო რომ მთავრობა სდებს 5000 მანეთს, ასაჩუქრებს ორდერით და გვირგვინით.

შემდეგ იწყება მილოცვები.

თბილისის დრამატიული საზოგაოოების სახელით ულოცავს მხცოვანი მსახიობი ვალ. გულია, ქუთაისის დრამატიული საზოგადოების სახელით ივ. პურადაშვილი. ქუთაისის ქალაქის გამგეობის სახელით ლ. ქორქაშვილი.

სოც. დემოკრატიული პარტიის სახელით თ. ჭუმბურიძე. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტისა და გაზეთ „ჩვენი ქვეყნას“ რედაქციის სახელით ნიკ. ასათიანი, სოც.-ფედერალისტთა სახელით გ. ფარქოსაძე, სახალხო უნივერსიტეტის სახელით ალ. გარსევანიშვილი, ხონის დრამატიული საზოგადოების სახელით ი. ელენტი, ონის დრამატიული წრის სახელით გრ. ჯაფარი, მეორე გიმნაზიის სახელით დ. ოყრეშიძე, (დ. თომაშვილი) წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის სახელით კ. გაბარაშვილი, მწერალთა კავშირის სახელით მგოსანი პაოლო იაშვილი.

იყო აგრეთვე ბევრი სხვა მილოცვები დეპეშები და საჩუქრებიც, რასაც შემ...დეგ ნუმერში აღვნიშნავთ

მილოცვების დასრულების შემდეგ თვალცრემლიანმა იუბილეარმა საზოგა...დოებას მიმართა მოკლე მაგრამ მგრძნო...ბიარე სიტყვით და აღნიშვა, რომ იგი თავის საყვარელ საქმეს არ უღალატებს და მთელ თავის ენერგიას მას შესწირავს.

ქ—ნი ნინო საზოგადოებამ განუწყვეტელი ტაშით დააჯილდოვა.

ჩამოშვა ფარდა. დელეგატები სცენიდან გამოვიდენ და სცენის კარებთან ჩამწკრივდენ.

ნინოც გამოიყვანეს სცენიდან და ამ დროს გადაღებულ იქნა სურათი.

სურათის გადაღების შემდეგ იუბილეარი ყვავილებით მორთულ ავტომობილში ჩასვეს და ისევ სახლში წაიყვანეს.

ავტომობილი საზოგადოებამ „ვაშას“ ძახილით და ყვავილების სროლით გაისტუმრეს.

სალამოს თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართა.

წარმოდგენამდი იყო რამდენიმე მილოცვა და დეპეშებიც.

მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა მეორე მოქმედება „მედეიანს“ და მეხუთე მოქმედება „დალატიდან.

სადღესასწაულო წარმოდგენას აუარებელი საზოგადოება დაესწრო.

ასე ჩატარდა ნინო ჩხეიძის იუბილე დღესასწაული ქუთაისში და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქუთაისს სხვა დაბა ქალაქებიც გამოეხმაურება. X

ქართველ ისრაელთა შორის.

I

ქართული საზოგადოება და „არშინ მალალან“-ი

ამ ბოლო დროს ქართული სცენა თბილისში და ქუთაისში დაიმონა უცხო ქვეყნის მეტათ შაბლონიურ ხასიათის ოპერეტკებმა. „არშინ მალალან“ და „აშუღ ყარიბმა“ მოხიბლა ფართო მასსა; უკანასკნელიც სიამოვნებით მიეშურება თეატრში. განმეორება ამ ოპერეტკებისა უფრომეტ ხალხს იზიდავს; ხშირათ თეატრი ხალხით გამოჭედილია, ბილეთები არ იშოვება. კლასიკური პიესები და სხვა სერიოზნული წარმოდგენების დადგმის დროს კი თეატრის დარბაზი ნახევრათ ცარიელია. საუკეთესო ქართ. არტისტებიც, სამწუხაროთ, აყენენ ხალხის ხმას და ისინიც გაურბიან კლასიკურ და ეროვნულ წარმოდგენებს და გადადიან „არშინ მალალანის“-აკენ.

რად ხდება ეს? რად არის რომ ეს მარტივი სიუჟეტებიანი, მდაბიო ენით დაწერილი, ხან დამღონებელი, ხშირათ კი მხიარული ცეკვა-სიმღერებით სავსე ოპერეტკები იზიდავს ხალხს თეატრის დარბაზში?! და ის მოტივები „არშინ მალალანისა“, რომელნიც „შავი სახადივით“ მოედვა საქართველოს ყოველ კარ-კუთხეს! ქალი, კაცი დიდი და პატარა მხიარული დაჟინებით რომ გაიმღერიან სადაც არ უნდა იყვნენ და რასაც არ უნდა აკეთებდენ!..

ნუ თუ ჩვენ არ უნდა ჩაუკვირდეთ ამ მოვლენას და არ უნდა გაიგოთ მისი მიზეზები?!

ვისაც ამ ბოლო დროს უცხოვრია რუსეთის დად. ქალაქებში, მეტადრე რევოლიუციის შემდეგ, აგრეთვე-ჩვენს დედა-ქალაქ თფილისში. ვისაც უყვარს თეატრი, მისი აწმყო და მომავალი და დასწრებია იმ მრავალ ლექციებ—კამათებს, რომელიც იმართებოდა ამ საკითხის გარშემო, ის უთუოდ გამოიტანდა იმ გადაწყვეტილებას, რომ დღევანდელი თეატრი იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს დაძველდა; მსმენელ-მაყურებელნი გაურბიან მას, და არც ისე შორს არის ის დრო, როდესაც დღევანდელ თეატრს მოელის ბუნებრივი სიკვდილი. ამას გრძნობენ მრავალნი თეატრის მოყვარულნი და გულის ტკივილით, გაფაციცებით ცდილობენ ხიფათის თავიდან აცდენას, ცდილობენ მომაკვდავი თეატრის განკურნებას.

მართალი ბძანდებოდა ბ. გარსევანიშვილი რომელიც მოითხოვდა ქართულ **ახალ** თეატრის ფართო მასსასთან დაახლოვებას.*)

მაგრამ რა სახით უნდა მოხდეს ეს.

აი საკითხი, რომელიც უნდა აინტერესებდეს თეატრის თეორეტიკოსებს; მათ ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს ის, რომ გამოაკვლიონ დღევანდელი თეატრის დაცემის მიზეზები და გამონახონ საშვალება ქართული ახალი თეატრის შექმნისათვის.

ის გარემოება რომ მიუხედავათ პროტესტებისა ხალხი მაინც-ეტანება „არშინ მალალან“-ს, გვიმტკიცეს კიდევ ერთხელ იმას, რომ დღევანდელ თეატრს, მის რეპერტუარს **რაღაც** აკლია და სწორეთ ამის გამოკვლევაა საჭირო საქართველოში ახალი თეატრის შესაქმნელათ.

ამიტომ საჭიროა ქუთაისშიდაც იმართებოდეს ისეთი ლექცია-კამათები ხალხის მონაწილეობით, რომ გავიგოთ საზოგადოების აზრი, ქართ. თეატრზე და მის მომავალზე.

II

„არშინ მალალან“, „აშუღ ყარიბი“ და ქართველი ისრაელები.

მაგრამ მე, როგორც ქართველ ისრაელს მაინტერესებს კიდევ მეორე საკითხი, რომელიც დაკავშირებულია „არშინ მალალან“-თან. ეს საკითხი: „...ალალან“ „აშუღ ყარიბ...ლები“.

ვინც ხშირათ დაიარება ქუთაისის თეატრში, ის უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას აგრეთვე იმას, თუ როგორ საოცრათ გამრავლდენ ქართ. ისრ. ამ თეატრში იმის შემდეგ, რაც პირველათ დაიდგა ქუთ. სცენაზე „არშინ მალალან“-ი, „აშუღ-ყარიბ“-ი და სხვა ასეთები. ამ ოპერეტკების დადგმაზე ისწრაფვის მთელი ქართ. ისრაელობა. ქალი, კაცი, ახალგაზრდა, ვაჟი და ქალი მიუხედავათ ადგილის ფასისა, მიუხედავათ ხახამ-რაბინების რისხვისა და ოჯახში უსიამოვნებისა მიეშურება თეატრის დარბაზში.

აქ ნახავთ როგორც მდიდრებს, აგრეთვე ღარიბებს არეულს ერთმანეთში. აქვე შეამჩნევთ ხშირათ ახალ-ახალ კოსტიუმებში მოკაზმულ წვერგაპარსულ ახალგაზდობას; მათ გვერდით კი გრძელწვერიან ქუდმოუხდელ მჯდომს ქართ. ისრაელს, რომელიც დღეში სამჯერ ლოცულობს და ხახმების ყოველივე ბძანებას ასრულებს.

უმანკო ახალგაზდა ქალწულის გვერდში შეამჩნევთ მოხუც დედა კაცს ქართულათ თავდახურულს, რომლის სახეზე მრავალწლობით ტანჯვა-ვაების, მუდმივ შრომის გამოხატულება დასახულა.

ვაჭარს, ხელოსანს, მოსამსახურეს, მოკინტაო ბიჭებს, ყველას აქ მოუყრია თავი, თითქოს ბარ-მიცვას* ესწრებიანო.

ნეტავ რას დგამენ იმისთანას სცენაზე, რომ ასე ერთხელოვნათ მოუყრიათ თავი ქართ. ისრ?.—„არშინ მალალანს“ ან „აშუღ ყარიბს“!..

რა არის ქართ. ისრაელ. ასეთი მომხიბლელი ამ ოპერეტკებში? ამის გამოკვლევას შევეცდები ქვემოდ.

როგორც მოგეხსენებათ „არშინ მალალან“-ის და „აშუღ ყარიბის“ შინაარსი მეტათ მარტივია. ასკარას სურს ქალის შერთვა, მაგრამ ეს არც ისე ადვილია სუნიტელებისათვის, რადგანაც ქალებს კარ-ჩაკეტილში აცხოვრებენ, მათი ხილვა თითქმის შეუძლებელია. ასკარს კი როდი სურს შეირთოს ქალი უნახავათ, მას უნდა ჯერ იხილოს ქალიშვილი, თუმც მოეწონება და შეუყვარდებათ ერთმანეთი. მხოლოთ მაშინ დაქორწინდება. ასკარი მისი ამხანაგის რჩევა-დახმარებით ახერხებს ქალის ხილვას, მათ ერთმანეთი შეუყვარდებათ, მხოლოთ ბედნიერების დამრღვევი გამოდის გულჩორას მამა, რომელიც არ თანხმდება ქალიშვილის ღარიბის შვილზე მიცემას. ბევრი დავიდარაბის შემდეგ ასკარას სურვილი განხორციელდება ის თხოვილობს საყვარელ ქალს.

„აშუღ ყარიბი“—აქაც თითქმის იგივე დედა აზრია განმეორებული, მხოლოთ სხვა სახით. აქაც სიყვარული, აქაც მამის ფარი—„მამა ვარ და მე გიბძანებ!“ ქალიშვილის უცხო კაცზე და არა ყარიბზე გათხოვების წადილი. შეყვარებულების დროებითი განშორება, ტანჯვა, ცრემლები. და ესეც-ბოლოს შეყვარებულების გამარჯვებით ბოლოვდება.

ყველა ეს დართულია აღმოსავლეთის მოტივებით, ცეკვა-თამაშით და სიმღერებით მოკაზმულია.

*) ბარმიცვა—ნათვლაა ვაჟის, რომლის დასწრება ებრაელს მადლათ ეთვლება.

*) მისი ლექცია ხელოვნების სალამოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაპატიეთ ამ სიუჟეტების მოყვანისათვის, ვინაიდან უამისოთ გაუგებარი დარჩებოდა დედა აზრი დღევანდელი ჩემი წერილის მეორე ნაწილისა.

წინა წერილში ოდნავ დავახასიათე ქართ. ისრაელის ქალის უმწეო მდგომარეობა. კარ-ჩაკეტილობა, მშვიდობის ბრძანებით თხოვა-გათხოვება, სარძლოს და საქმროს უნახობა ჩვენში ისეთივე მდგომარეობას ქმნის, როგორიცაა „არშინ მალალანის“ და „აშუღ-ყარიბის სიუჟეტები. სამწუხაროთ ქართ. ისრ. ტანჯვა და მწუხარება ოღონ თავდება ისე სასურველათ, როგორც იქ.

ქართ. ისრ. ხედავს „არშინ მალალანში“ თავის ცხოვრების განსახიერებას, ის თეატრში ასკარასთან და გულჩოტასთან ერთად გულმტკივნეულს, ცრემლებს ღვრის...

მაგრამ აჰა, შუა თამაშში იგრიალა მხურვალე ტაშის ცემამ, თვალები გაბრწყინებულან, მხიარული ღიმილით გამოიყურებიან სახეები, ციცინან ქართ. ისრაელები. (Смѣхъ сквозь слезы!) რა მოხდა? — ქორწინების დროს, როდესაც შახსანამას ათხოვებდენ მამის ძალდატანებით შახ ვალადზე, ამ დროს მოდის გამდიდრებული ყარიბი, გამოგლეჯს საყვარელ ქალს უცხოს და თვით ქორწინდება („აშუღ-ყარიბი“)

ეს ტაში ერთდაიგივე დროს გამოხატავს სიხარულს და სინანულსაც! — უხარია ქართ. ისრ. შეყვარებულების შერთვა, მაგრამ იქვე გული ატკინდებათ, რომ წარმოუდგება თვალწინ მწუხარებით სავსე თავგადასავალი, აწმყო, წარსულში და მომავალში. ეს მხურვალე, გრძნობით სავსე ტაში ქართ. ისრ.-ისა საშინელი პროტესტია სიბნელისადმი, რადგან მისი წყალობით ქ. ისრ. მოკლებული არიან სიყვარულის განცდას, მის სიტკბოებას!

რა ქნას საცდავმა ხალხმა, ხახმების წყალობით დაბეჩავებულებმა?

ქართ. ისრრ. ქალს ხიბლავს ის ცეკვა-თამაში, ის სიმღერები, ხშირათ დამწუხრული, რომლითაც სავსეა "არშინ მალან"-ი და „აშუღ ყარიბ"-ი. მისთვის არ არსებობს არავითარი კულტურული გასართობი, არავითარი სიხარული ტანჯულ ცხოვრებაში, გარდა ცეკვისა და სიმღერებისა.

და მართლაც ამ მხრივ მდიდარია ქართველი ისრაელობა! ჩვენში დღემდი შენახულია მრავალი ქართული სიმღერები, თავიანთი დამახასიათებელი მოტივებით და კილოკავებით.

„არშინ მალალნმა ქართ. ისრ. შინაურ ცხოვრებაში მოახთინა ერთგვარი რევოლიუცია. მან დაანახა დაბეჩავებულ ხალხს რომ არსებობს სხვა ცხოვრება, გარდა ცხე-კოშკებში კარ-ჩაკეტილობისა, რომ არსებობს **სიყვარული** და მისთვის **ბრძოლა**. ვერ წარმოიდგენთ თუ როგორი ბეჯითად დაიზეპირეს „არშინ მალალან“-ი. ჩვენმა ახალგაზრდობამ. ხშირათ ოჯახებში იმართებოდა (ჩუმათ, რასაკვირველია, რომ მთავარ რაბინს არ გაეგო!) სალამოები „არინ მალანის“ წარმოდგენებით, თამაშობდენ თვით ქართ. ისრ. ახალგაზდობა.

„არშინ მალალანმა“ შეაყვარა ქართ. ისრაელს თეატრი!

მის პირველათ დადგმის შემდეგ ქართ. ისრ. რაოდენობამ იმატა თეატრში.

აი იმ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებით აიხსნება ქართ. ისრ. უმრავლესობა „არშინ მალალან“ და „აშუღ ყარიბი“ ის წარმოდგენებზე.

რასაკვირველია, ეს მოვლენა ე. ი. „არშინ მალალან“-ით მოხიბლულ ვარდამავალ ხანათ უნდა ჩაითვალოს ქართ. ისრ. ცხოვრებაში, რადგან მის შემდეგ რიც ხალხს შეუყვარდება თეატრი, კარგათ გაიცნობს მას, უმეტესათ კი იმის შეადეგ რაც ჩვენში მჭიდროთ შემოიჭრება სწავლა განათლება, ქართ. ისრ. მსოფლმხედველობის ჰორიზონტი გაიშლება, მაშინ უთუოდ ბუნებრივათ დაიბადება სურვილი უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ პიესებზე ვიდრე „არშინ მალალან“ და „აშუღ ყარიბი“ არიან.

დღეს კი უსურვებ ქართ. ისრაელობას ბნელი ხახმებს კლანჭებისგან განთავისუფლებას, მათ შინაურ ცხოვრების განკურნებას, უკანასკნელი შესძლებს ევროპიული სწავლა-განათლების მიღებას, რომელიც დაახშობს ბნელი ხახმების გავრცელებულ სიბნელეს და შეძენილ ტანჯვა-ვაებას შეცვლის ხანგრძლივ სიმხიარულეთ.

ი. **მოშიაშვილი.**

„შევარდენთა“ დღესასწაული.

ხუთშაბათს, 29 მაისს, რეალური სასწავლებლის ეზოში მასწავლებელ იასონ გაბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა „შევარდენთა“ ვარჯიშობა; ვარჯიშობაში მონაწილეობას ღებულობდენ გარდა იმავე სასწავლებლის მოწაფეებისა აგრეთვე სტუდენტები.

პირველ განყოფილებაში საზოგადოება განცვიფრებაში მოიყვანა უმცროსი კლასის მოწაფეებმა, რომლებიც სავარჯიშო ტანსაცმელში გამოწყობილნი ნაბიჯით სვლას და პირამიდებს შესანიშნავათ ასრულებდენ.

მეორე განყოფილებაში გაიმართა „ეშაფეტური“ სირბილი, შევარდნების თავისუფალი ვარჯიშობა და პატარა ბავშვების თამაში და სიმღერები.

მეტად სამხიარულო და საყურადღებო იყო როდესაც უმცროსი მოწაფეები ფეხებულს უვლიდნენ და დამღეროდნენ „ვახტანგ მეფეს“ და „ჭანაში მკიან პურსაო“.

ამ უკანასკნელმა დიდი სიამოვნება გამოიწვია საზოგადოებაში და ნიშნათ პატივისცემისა და მადლობისა ტაშის გრიალით დააჯილდოვეს.

მესამე განყოფილებაში უფროსმა მოწაფეებმა გამართეს ტრამპილზე ხტომა, ვა ჯობობა მანქანებზე, მაგიდაზე ბაწარზე და სხვა.

ამ განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობდენ სტუდენტებიც. თუ ჩვენ პირველ და მეორე განყოფილებაში ვხედავდით სისუსტეს (რაც არ ეძრახვის პატარა ბავშვებს) სამაგიეროთ მესამე განყოფილებაში ჩვენ ვხედავთ რომ პატივცემულ მასწავლებლის იასონ გაბაშვილის შრომას უნაყოფოთ არ ჩაუვლია და მისმა გაწრთვნილმა ახალგაზრდებმა იგი ასახელეს.

საერთოთ მესამე განყოფილება ულაკლოთ ჩატარდა, მაგალითათ როგორიც არის „ტრამპილზე“ ხტომა საერთო ვარჯიშობა; ყველა ეს ნათლათ სჩანდა რომ მშვენივრათ ჰქონდათ შეთვისებული ახალგაზრდებს. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სამიოდე მოწაფე; ცაკაძე გრიშა, პატარა ავალიანი და გერვასი იაკობაშვილი, რომლებიც შევარდენისებური სისტრაფით ასრულებდენ სხვა და სხვა ვარჯიშობას რომლებსაც საზოგადოება ყოველთვის მხურვალე ტაშით აჯილდოვებდა სამივეს.

დასასრულ დაიდგა საერთო დიდი პირამიდა რომლის შემდეგაც ბ. გაბაშვილ ხელით შემოატარეს წრის ირგვლივ რომელსაც საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით ხვთებოდა.

ამით დამთავრდა ახალგაზრდა „შევარდენთა“ საზეიმო ვარჯიშობა და დღესასწაული. საერთოთ უნდა ითქვას რომ მეტად ღირს შესანიშნავი არის დანიშნულება ამ ახალგაზრდების ხელმძღვანელისა, მით უფრო რომ იგი ემსახურება იმ დარგს ხელოვნებისას, რომელიც ადვილებს ადამიანში კულტურულ მისწრაფებას, სულის სიფაქიზეს ჰბადებს უმანკო გრძნობებს და სურვილებს.

აი ასეთი დიდებული საქმის მსახური, როგორიც არის იასონ გაბაშვილი დიდი მადლობის და პატივისცემის ღირსი არის ჩვენი საზოგადოებისაგან და ეს დაფასება კიდეც უნდა გამოხატოს ჩვენმა პატივცემულმა საზოგადოებამ.

საზოგადოების თხოვნით „შევარდენთა“ დღესასწაული განმეორებულ იქმნა 30 მაისს, რამაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და მეტად ნასიამოვნებიც დარჩენ.

ჩვენ უსურვებთ ხელმძღვანელს ამ დღესასწაულისას ბ. ი. გაბაშვილს დღეგრძელობას და კიდევ მეტ ენერგიას, რომ მის საყვარელ საქმეს დიდხანს სდგომოდეს სათავეში:

აკაკი.

კორესპონდენცია.

დ. ჩხარი. ჩხარის საზოგადოებამ დიდის ამბით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი.

26 მაისს, დღის 12 საათზე, მრავალრიცხოვანი მიტინგი დაიძრა დ. ჩხარის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის ეზოდან კომისარიატის ბინისაკენ დროშებით, სურათებით და საგანგებო ეტლით, რომელშიაც იჯდა თეთრათ ჩაცმული ქალწული, ლამპარით ხელში. მღეროდა ხსენებული სასწავლებლის მომღერალთა გუნდი მასწავლებლის ქეთო აბესაძის ლოტბარობით. ეროვნულ ჰიმნს და სგვა ეროვნულ სიმღერებს. იყო მეორე გუნდიც სამინისტრო სკოლის მოწაფეთაგან მასწ. ვალოდია გძელიძის ლოტბარობით. კომისარიატის ეზოში დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ი. ლუტიძემ. ლექსი სამშობლოზე და სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე მოწაფეებმა თურქაძემ და აბჟანდაძემ.

აქედან მიტინგი გაემართა ბაზრის წყაროსაკენ. იქ დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს ვ. ძიძიშვილმა, მღ. ი. ფონჩულიძემ და სოფლის მუშა სტეფანე მარუაშვილმა. უკანასკნელმა მოუწოდა ხალხს არ იკმაროს ამ დიდებული დღისადმი მარტო სიტყვით თანაგრძნობა და თვით საქმით ხელი შეუწყოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

აქედან მიტინგი გაემართა ჩხარის მაცხოვრის ეკლესიისაკენ. აქ სიტყვები წარმოსთქვეს მ. აბჟანდაძემ და კ. გოგიბაშვილმა. ყველა სიტყვებს ხალხი დიდის აღტაცებით ხვდებოდა.

ამის შემდეგ ეკლესიის გალავანში გაიკეთეს ფართო წრე, გაიმართა ცეკვა-თამაში; უკრავდა სიმებიანი ორკესტრი ქეთო აბესაძის ხელმძღვანელობით. ამ დროს დეკანოზმა იასონ აბესაძემ მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვით: „ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ ყოველ ეკლესიაში არის წირვა- ლოცვის დროს სახმარებელი საეკლესიო წიგნი დავითნი. იგი დაწერილია ებრაელთა წმიდა მეფის დავითისაგან. ეს მიერონ ცხებული ხალხს მეტად უყვარდა, რადგან მას დამსახურებული ჰქონდა ეს სიყვარული. როცა ეს მეფე მტერთან ძლევა მოსილი ბრძოლის შემდეგ შინ ბრუნდებოდა და გამარჯვებული ერი დღესასწაულებრივ მხიარულებას მიეცემოდა, იგი მეფე თავის უაღრეს სიხარულს, სხვათა შორის, ცეკვის ჩამოვლით აღნიშნავდა ხოლმე. მე ჩემს სიცოცხლეში არ მიცეკვია და არც არის იგი სამღვდელოპირის ხარისხის შესაფერისი. და შესაფერისიც რომ იყვეს, მე მრავალ ჭირგამოვლის და სიკვდილისაგან დაჩაგრულს ძნელათ თუ რამე გამომხიარულებს. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი იგეთი დიდებული და სამხიარულო დღესასწაულია მთელი ქართველი ერისათვის, რომ დასაძრახისათ არ ჩაითვლება, თუ ზეც ებრაელთა მეფეს მივბაძავ და საქართველოს მკვდრეთით აღდგომის დღეობის აღსაბეჭდავათ ცეკვას ჩამოუვლი. ბევრს თქვენგანს ამ დიადი დღის მნიშვნელობა ნაკლებ გესმისთ, რადგან [illegible] ბით არ დამტკიცებულა [illegible] საქციელს იმ [illegible] რომ თქვენ გაგაკვირეთ, დაგაინტერესოთ და გაფიქრებიოთ, რომ თუ დღევანდელი დღის სიდიადემ დაჯავრებული ქალარა ხუცესიც კი აათამაშა სჩანს ეს დღე დიდი რამ ყოფილა მით აგიძრათ სურვილი ამ საბედნიერო დღის შესწავლისა და დაფასებისა.“ ამ შემდეგ მასთან გადმოყვა მღ. იოანე ფონჩულიძე და ცეკვა ჩამოუარეს. ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა ამ ბავს.

ამის შემდეგ გაემართა ბურთაობა ხალხი მეტად ნასიამოვნები გვიან ღამოთი დაიშალა.

ცხადია, რომ „26“ მაისი დიდ ეროვნულ დღესასწაულათ გადაიქცევა ქართველი ერისათვის და გულით ვისურვებ, რომ ამ მხიარულების საფუძველი ამ მოშლოდეს ჩვენს ერს, სანამ ჩვენ პლანეტა იარსებებს.

დამსწრე.

—

თერჯოლის საზოგადოება.

წელს, ჯერკიდევ ვაზები გაუთოხარია და ყანები დაუხნავი, როცა შარშან [illegible] დროს სიმინდები გამარგლილი იყო [illegible] ვაზების ყლორტები სარებზე მიკრულ[illegible] ამასთან მაისმა სიცივეები დაიკავა, [illegible] მოსავლისათვის დიდი მაზარალებელი ხილი მოწვა და ჩამოცვივდა შიბიამანი მეათედსაც არ აქვს. 1200 მან. მიცემ[illegible] ფუთ შაბიამანში ადვილია. იმედოვნებ[illegible] დენ, რომ ერობას და კავშირს ძო[illegible] და იაფად ვიყიდოთო. როგორ კოოპერატივის წარმომადგენლები გადმოგვცემ[illegible] შაბიამანი მართლაც მოსულა და მიუ[illegible] კავშირებს, მაგრამ როგორ ხალხი ფიქ[illegible] რობდა იმ ფასში კი არა. ხალხს ეუბნ[illegible] ბოდენ: „მოიცათ ნუ იყიდით კავშირ[illegible] მოუვა ოც თუმანს არა დემატება ფუთი[illegible] დღეს კი 500-600 მ. მიიქვთ. ცოტა ა[illegible] იყოს უხერხულია. თუმცა 500 600 [illegible] სიხარულით უნდა მისცენ ფუთში, რო[illegible] ისე 1200 მან. ღირს.

შავი სახადი კიდევ მძინვარებს. ისევ პირებს ახალმებს წუთი სოფელს, რომ[illegible] ლთაც სოფლის მარგალიტები არიან.

ს. თერჯოლაში არსებობს აფთიაქი[illegible] მაგრამ სავაჭრო დუქანს უფრო მოგვ[illegible] გონებს, ვიდრე აფთიაქს. ჯერ ერთი წ[illegible] მალი მამასისხლათ იყიდება „და მეორ[illegible] როცა მოესურვებათ მაშვინ არის ღია აფ[illegible] თიაქი. ავადმყოფების პატრონთ მთელ[illegible] დღეობით უხდებათ აფთიაქთან დგომა [illegible] მოლოდიანი თუ როდის მოვა აფთიაქ[illegible] პატრონი და აფთიაქს გაალებს.

ვ. გუთნურისპირელი.

ღია წერილი.

ბ. რედაქტორო გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ბოროტი პირები ხმებს ავრცელებენ ვითომც მე ვმსახურობდე ძალულ მილიციაში (სისხლის სამართლის მილიციაში) ვეწეოდე ჯაშუშობას და მილიციელებს ვაპატიმრებდე უდანაშაულო პირებს. ეს ვაუბატონები ნიღაბით გამოდიან და მაცადინეობენ ჩემს პიროვნებას ჩირქი მოსცხონ.

თუ მათ კიდევ შერჩენიათ ცოტაოდენი მოქალაქობრივი გამბედაობა: დაამტკიცონ ის ხმები ოფიციალურად, რასაც ლამურებისავით საზოგადოებაში ავრცელებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მე უფლებას ვიტოვებ მათ ვუწოდო ჭორიკანები და უსინდისონი.

ჭიჭიკო ბერიძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

წრეფლმბეჭდავი „ძმობა“ ბუშკინის ქუჩა სახლი [illegible]